# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო

## დადგენილება № 38

2012 წლის 19 ოქტომბერი

2012 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების შესახებ

აკადემიური საბჭო ადგენს:

2012 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭოთ:

1. პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია 5000 ლარის ოდენობით აკადემიის წევრ-კორესპონდენტს შოთა სამსონიას, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორებს: იოსებ ჩიკვაიძეს, მარინა ტრაპაიძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატებს: ნანა ჩიკვაიძეს (თარგამაძეს), დალი ყაჯრიშვილს, დავით ზურაბიშვილს ნაშრომთა ციკლისათვის – „აზოტშემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი არომატული ჰეტეროციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი".
2. გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, ზაზა კიკნაძეს (გარდაცვალების შემდეგ), ფილოლ.მეცნ.დოქტ. ინგა შადურს, ფილოლ. მეცნ.დოქტ. ნანა შენგელაიას ნაშრომისთვის – „თეორიული ენათმეცნიერების კურსი".
3. ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლეო ჩიქავას ნაშრომისათვის – „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა".
4. შოთა მესხიას სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით აკადემიკოს როინ მეტრეველს ნაშრომთა ციკლისათვის – „პატრიარქი – ერის სულიერი მამა"; „მეფეები და პატრიარქები".

5. ალბერტ თავხელიძის სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით აკადემიკოს ნოდარ ცინცაძეს ნაშრომთა სერიისათვის – „მტვრიანი“ პლაზმის ფიზიკის ზოგიერთი ასპექტები.
6. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტორებს: ავთანდილ კორძაძეს, დემურ დემეტრაშვილს ნაშრომთა ციკლისათვის – „შავ ზღვაში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება და მის საფუძველზე შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდგომარეობის ოპერატიული პროგნოზული სისტემის შემუშავება“.
7. ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. ალექსანდრე მესხს მონოგრაფიისათვის – „არაკომპაქტურობის ზომა ინტეგრალური ოპერატორებისათვის ლებეგის წონიან სივრცეებში“.
8. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია 3000 ლარის ოდენობით აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მიხეილ კაკაბაძეს ნაშრომთა ციკლისათვის –„ადრეცარცული ამონიტების სისტემატიკა და სტრატიგრაფიული მნიშვნელობა“.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი თ.გამყრელიძე

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი
აკადემიკოსი ო.ნათიშვილი